ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1482046

ნომერი: AR1250744

თარიღი : 16.09.2014

გაცემის თარიღი : 17.09.2014

გაცნობის თარიღი : 17.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი N 8/49) / ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვეთი 08/088) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ხაბარელი პ/ნ 01008018551
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75ბ ბ. 4

ორგანიზაცია:
- შპს 'ოლიმპი პლიუს' კოდი: 205165550

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1250744 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ 01.14.07.008.095 საკადასტრო ერთეულზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ შემდეგს:
დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ორ ფუნქციურ ზონაში: საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ-1)–ში და სარეკრეაციო ზონა 1–ში (რზ–1).
სსზ–1–ში მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 3.5 ;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0.1.
სარეკრეაციო ზონა 1 წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: (25.11.2011 N 12-55)
ა) განათების;
ბ) სარწყავი სისტემის;
გ) სარეკლამო ბილბორდის;
დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის;
ე) კიბეების, გზების, ბილიკების.
იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების საზღვარის გათვალისწინებით დამატებით წარმოსადგენი გაქვთ, საპროექტო ტერიტორიის სრულყოფილი გენგეგმა სატრანსპორტო მოძრაობის (გზების) და საპროექტო მოცულობის სართულიანობის ჩვენებით.
ასევე, აღნიშნული განაცხადიდან ვერ დგინდება, იგეგმება მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, თუ არსებული შენობების დემონტაჟი და ახალი ობიექტის განთავსება. ინფორმაციის დაზუსტების შემდგომ სამსახური განიხილავს აღნიშნულ საკითხს კანონით დადგენილ ვადაში.
ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით.
თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2014 წლის 16 სექტემბერს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 2 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების რეგისტრაციიდან 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის შემდეგ ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად სამსახურს დარჩენილი აქვს 10 სამუშაო დღე; დანიშნულ ვადაში განაცხადის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.